

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების პროგრამისა და ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების მხარდაჭერა უკრაინაში

მოქალაქეებთან კავშირების დამყარება, ხალხის საჭიროებების მოსმენა ყოველთვის იყო „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის“ მნიშვნელოვანი საკითხი მონაწილეობის გაზრდისთვის, დემოკრატიის დამყარებისა და ცვლილებების განხორციელებისთვის.

ცხოვრება ამ გაურკვევლობის დროს, როდესაც ადამიანის უფლებები და სახელმწიფო სუვერენიტეტი საფრთხის ქვეშ, ხოლო დემოკრატიული საერთაშორისო ღირებულებები ზეწოლის ქვეშ იმყოფება, ასოციაცია მზადაა მოახმაროს თავისი ენერჯია/ ძალისხმევა და ხაზი გაუსვას თავის ვალდებულებას და მოვალეობას უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

მიმდინარე ომი უკრაინაში მოუწოდებს დაწესებულებებს, სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და საერთაშორისო აქტორებს კონკრეტული ზომების მიღებისაკენ: „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია“ ასრულებს თავის მოვალეობას. აქედან გამომდინარე, 2022 წლის 6 მაისს, სტრასბურგში გამართული საერთო კრების ფარგლებში, ასოციაციამ დაამტკიცა დოკუმენტი სახელწოდებით: „ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოები: ძლიერი ინსტრუმენტი კრიზისისა და ომის შედეგად დაზარალებული თემების მხარდასაჭერად“.

ამრიგად, ALDA-ს არა მხოლოდ მტკიცედ სჯერა საკუთარი ძალის იმოქმედოს ადგილობრივ დონეზე; არამედ ის ეფუძნება ყოველდღიურ ურთიერთობას [ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოებთან](#). ეს უკანასკნელნი, პროგრამის სახით, [შეიქმნა ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის](#) მიერ, 1993 წელს ევროპის ქვეყნების საზოგადოების მხარდასაჭერად.

უფრო კონკრეტულად, ზემოთაღნიშნული დოკუმენტიდან დაწყებული, ALDA მოუწოდებს მთელ საზოგადოებას მხარი დაუჭიროს ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოებს, როგორც ადგილობრივი დემოკრატიის, მშვიდობისა და მდგრადობის ინსტრუმენტს; განსაკუთრებით მარიუპოლსა და დნიპროში დაეხმარონ ხალხს, პროექტებსა და აქტივობებში მათი ჩართვით. ამავდროულად, ასოციაცია მიესალმება სხვა ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების გახსნის შესაძლებლობას ოდესასა და ვინიცაში ან უკრაინის სხვა რაიონში.

რა იქნება შემდეგი ნაბიჯი? ALDA-მ უკვე დაგეგმა კონფერენცია 22 ივნისს, რათა მოიპოვოს ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების მხარდაჭერა იმისათვის, რომ განახორციელონ რეალური ქმედებები კოლეგებისა და მეგობრების დასახმარებლად უკრაინაში.

#„ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაცია“ უკრაინის მხარდასაჭერად